პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 77 (4847)

1973 წ. 19 აპრილი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა



უმაღლესი ლიგა

ლიდერი უდანაკარგოდ თამაშობს

ალმა-ათასა და სვერდლოვსკში გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის I ტურის მატჩები.

გათამაშების მეოთხე დღეს ახალი წარმატება იზეიმა ლიდერმა — რიგის ტტტ-მ, რომელიც ალმა-ათაში თამაშობს. მან დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" — 88:57 (50:29).

დაძაბული იყო მოსკოვის ოლქის სპარტაკელთა შეხვედრა ტურნირის მასპინძლებთან — ალმა-ათის „უნივერსიტეტის" კალათბურთელებთან. პირველი ტაიმი „უნივერსიტეტმა" 3 ქულით მოიგო — 31:28. მძაფრი იყო მეორე ტაიმიც. ალმაათელებმა მეტად საჭირო ქულა აიღეს — 62:57.

ვერაფრით მოიმართა ხელი ტურნირის აუტსაიდერმა — ტარტუს უჯ-მ. მისი მეტოქე ამჯერად კიევის „დინამო" იყო. უკრაინელებმა გაიმარჯვეს — 83:66 (48:27).

სვერდლოვსკის ჯგუფში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის „სპარტაკმა": ამჯერად მოსკოვის „სერპ ი მოლოტი" დაამარცხა დიდი ანგარიშით — 92:63 (49:28).

სვერდლოვსკის „ურალმაშისა" და კაუნასის „პოლიტექნიკას" შეხვედრაში უპირატესობა ურალელთა მხარეს იყო — 63:59 (38:29).

ვილნიუსის „კიბირკშტისმა" მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს" — 51:40 (26:18).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აპრილისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ	15	15	0	15
„სპარტაკი" (ლენ.)	15	13	2	13
„ურალმაში"	15	12	3	12
„დინამო"	15	9	6	9
„სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი)	15	8	7	8
„უნივერსიტეტი"	15	7	8	7
„კიბირკშტისი"	15	7	8	7
„ბურევესტნიკი"	15	5	10	5
„სპარტაკი" (მოსკ.)	15	5	10	5
„სერპ ი მოლოტი"	15	4	11	4
უჯ	15	2	13	2

გამარჯვებულთა შორის

ფრუნზეში გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გამარჯვებულთა შორის ორი თბილისელი ათლეტია — თ. ქონიაშვილი (65 კგ) და ნ. ბუთხუზი (75 კგ). მათ ჩემპიონის ჟეტონები გადაეცათ.

I ადგილები დაისაკუთრეს, აგრეთვე: ვ. პარამონმა (87 კგ), ა. მარკოვიჩმა (70 კგ), ი. მელცერმა (48 კგ. ყველა — მინსკი), ა. ბელოგლაზოვმა (45 კგ. კალინინგრადი), ა. მიშუროვმა (60 კგ. ფრუნზე), გ. მაჰმუდოვმა (52 კგ. ბაქო), ლ. კოსტრიკინმა (56 კგ. სალავათი), ა. პობირუხინმა (81 კგ. აქტიუბინსკი) და ა. ბისულთანოვმა (მძიმე, გროზნო).

ჭადრაკის სასახლეში გადაინაცვლა

„დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჭადრაკე ქალთა პირველობამ, რომელიც თბილისში მიმდინარეობს, ახლადგახსნილ ჭადრაკის სასახლეში გადაინაცვლა. 11 ტურის შემდეგ ლიდერობენ ოსტატები ო. იგნატიევა (მოსკოვის ოლქი), ნ. ტიტორენკო (მოსკოვი) — 8-8 ქულა, მ. ჩიბურდანიძე (თბილისი), ი. ოსტრი (კიევი) — 7-7, თ. სტეპანოვა (მოსკოვი) — 6.

ბოლო ოთხ ტურში ძალიან კარგად ითამაშა ტიტორენკომ: მან მოუგო ლ. გოლდმანს (ტაშკენტი), ჩიბურდანიძეს, ს. კალანდარიშვილსა (თბილისი) და ე. ალიევას (ბაქო). იგნატიევამ 3 ქულა მოაგროვა: ც. კობაიძესთან და მ. ლოლიშვილთან (ორივე — თბილისი) ყაიმის შემდეგ გაიმარჯვა გოლდმანთან და ჩიბურდანიძესთან.

ფინიშზე ჩიბურდანიძე მთავარ მეტოქეებს შეხვდა. ოსტატების წინააღმდეგ ამ 12 წლის გოგონამ ჩვეული შემართებით ვერ ითამაშა, სამაგიეროდ, სძლია ი. ვევერს (რიგა) და ოსტრის. ამ უკანასკნელმა კი ქულით მეტი მოაგროვა: მოუგო ლოლიშვილს, გოლდმანსა და კალანდარიშვილს.

დასკვნით ორ ტურში ტიტორენკოს სათამაშო დარჩა მხოლოდ ვევერსთან (ბოლო ტურში თავისუფალია), იგნატიევას — კალანდარიშვილთან და ალიევასთან, ჩიბურდანიძეს — წერეთელთან და სტეპანოვასთან, ოსტრის — ალიევასთან და ვევერსთან.

საინტერესოა, რომ ფინიშზე ყაიმი თითქმის არ გვხვდება.

სხვა თბილისელი მოჭადრაკეები: კობაიძე (4,5 ქულა), კალანდარიშვილი (4), მ. წერეთელი (3,5) და ლოლიშვილი (2) ვერ ავლენენ თავიანთ ნამდვილ ძალას და, ცხადია, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში არ მონაწილეობენ.

თ. ნინოშვილი.

ჯილდო სამივე მოჭადრაკეს უნდა

ლას-პალმასი, 17 აპრილი. ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ლიდერობენ შტეინი (სსრ კავშირი), ანდერსონი (შვეცია) და რიბლი (უნგრეთი). 12 ტურის შემდეგ მათ 7,5-7,5 ქულა აქვთ.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პეტროსიანი ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

სათამაშო სამი ტური დარჩა.

მასპინძელი შეიცვალა

პორტოროჟი, 17 აპრილი. გამოჩენილი იუგოსლაველი დიდოსტატის და არბიტრის მ. ვიდმარის მემორიალის მონაწილენი ლიუბლიანიდან იუგოსლავიის საზღვაო ქალაქ პორტოროჟში გადაბარგდნენ.

10 ტურის შემდეგ კვლავ წინაა პორტიში (უნგრეთი) — 7,5 ქულა. საბჭოთა დიდოსტატ სუეტინს 6 ქულა აქვს, საბჭოთა ოსტატ რაზუვაევს — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია.

მოჭადრაკეებს 7 ტური დარჩათ სათამაშო.

კობაიძემ მიზანს მიაღწია

თბილისის მრავალდღიანი ველორბოლის მესამე ეტაპის სიგრძე 105 კილომეტრს შეადგენდა. ველოსიპედისტები უნდა ჩასულიყვნენ ბოლნისში და შემდეგ უკან თბილისში გამობრუნებულიყვნენ. სტარტზევე დაწინაურდა სამი სპორტსმენი — სპარტაკელი ვ. რთველიაშვილი, ბურევესტნიკელი ა. ხომუტოვი და არმიელი ვ. პეტრინი.

კოდის აღმართზე ძირითად ჯგუფს გამოეყვნენ დინამოელი ა. ცხოვრებაძე და რუსთავის წარმომადგენელი გ. ტოლომაშვილი. ისინი სულ მალე დაეწივნენ დაწინაურებულებს.

ეს ხუთეული დიდხანს ინარჩუნებდა ინიციატივას, მაგრამ უკანა გზაზე ლიდერთა შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა: პეტრინს მანქანა გაუფუჭდა, ტოლომაშვილმა ვერ გაუძლო ტემპს და ჩამორჩა. ფინიში რთველიაშვილმა მოიგო. ხომუტოვი II ადგილზე გავიდა (ორივეს ერთნაირი დრო აქვს — 2:37.17). III ადგილი ცხოვრებაძეს ხვდა.

მეოთხე ეტაპს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ბურევესტნიკელ დ. კობაიძეს ან უნდა მოეგო ფინიში, ან ლენინგრადის არმიელ ვ. სპიცინზე ერთი წუთით უკეთესი დრო ეჩვენებინა, ვინაიდან ლიდერთან 42 წამს აგებდა.

მეოთხე ეტაპი თბილისის ზღვის გარშემო ჩატარდა. ტრასა ოთხ წრეს შეადგენდა და სიგრძით 96 კილომეტრი იყო.

რბოლის დასაწყისში კობაიძემ ინიციატივა დათმო და მხოლოდ მოგვიანებით შეუერთდა დაწინაურებულებს. მერე კი ჯგუფს შვიდი ველოსიპედისტი გამოეყო. ამ ჯგუფმა სხვაობა 3 წუთამდე გაზარდა. ფინიშთან პირველი დინამოელი ვ. ფეტისოვი მიიჭრა, კობაიძე მეორე იყო (მათი დრო 2:21.48). ამ წარმატებამ კობაიძეს საშუალება მისცა თბილისის ჩემპიონი გამხდარიყო. ოთხი ეტაპის ჯამში გამარჯვებულის დრო 10:02.39. II ადგილი ხვდა ცხოვრებაძეს — 10:03.43, III კი ფეტისოვს — 10:04.37.

გუნდური გამარჯვება „დინამოს" ველოსიპედისტებს დარჩათ.

ა. გუნია,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

თბილისელები... თბილისელების წინააღმდეგ

საქართველოს ხუთჭიდელები მონდომებით ემზადებიან საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის. ეს დაგვანახვა თბილისში ახლახან გამართულმა რესპუბლიკური თასის გათამაშებამ. სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს ტრადიციად იქცა, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მხოლოდ თბილისელები მონაწილეობენ. ასე იყო ამჯერადაც. მართალია, სარბიელზე საუწყებო კოლექტივები გამოდიოდნენ, მაგრამ ნუთუ სპორტსაზოგადოებების გუნდებში თითო-ოროლა ადგილი მაინც ვერ მოიძებნა ქუთაისელი და სოხუმელი სპორტსმენებისთვის?

4960 ქულით რესპუბლიკის თასი მოიპოვა სპარტაკელმა ნ. ხუციშვილმა. II ადგილზე გასული ე. კალინინი („დინამო") თასის მფლობელს 123 ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა გ. მელაძე („სპარტაკი") — 4642.

თანამედროვე ხუთჭიდის ბოლო სახეობის — მძლეოსნური კროსის წინ ასეთი სურათი იყო: გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ სპარტაკელები. დინამოელებს მძლეოსნურ კროსში მეტოქეებისთვის წუთი უნდა მოეგოთ, რომ გაესწროთ. ამ ამოცანას „დინამოს" სპორტსმენებმა წარმატებით გაართვეს თავი და გამარჯვებაც მათ დარჩათ.

სამჭიდელთა შორის გაიმარჯვა ვ. დევდარიანმა („ბურევესტნიკი").

თანამედროვე ხუთჭიდი თავისი უაღრესად ინტენსიური და მრავალმხრივი „რეპერტუარით" სწორედ ზედგამოჭრილია დღევანდელი სპორტსმენისთვის, რომელიც უნივერსალიზმისკენ ილტვის. რა გინდა სულო და გულო, თანამედროვე ხუთჭიდს რომ არ ჰქონდეს: ცხენოსნობა, მძლეოსნური კროსი, ფარიკაობა, ცურვა, პისტოლეტით სროლა და კიდევ ის, რასაც რაინდობა, ვაჟკაცობა, სიმამაცე, მტკიცე ნებისყოფა ჰქვია. ყოველივე ეს მეტ-ნაკლებად ყველა ხუთჭიდელს ახასიათებს, უამისოდ ხუთჭიდელი ხუთჭიდელი ვერ იქნება. მით უფრო ამშვენებს ეს თვისებები საუკეთესო ხუთჭიდელს, მეტოქეებთან ჭიდილში გამარჯვებულ თბილისელ ხუციშვილს. ამ სურათებზე, რომლებიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა გადაიღო, აღბეჭდილია საქართველოს თასის მფლობელი ხუციშვილი „ხუთი დაბრკოლების" გადალახვის დროს.

ც. ფციალაძე.



გეგმებს წარმატებით ასრულებს

საქსპორტვაჭრობის № 69 მაღაზია „მეტალურგი" რუსთავში ქალაქის სპორტსმენთა გაზრდილ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. მაღაზიას ახლახან გაუკეთდა რეკონსტრუქცია. იგი თვითმომსახურების ახალი პროგრესული მეთოდებით ვაჭრობს და გეგმებს წარმატებით ასრულებს.

• • •

სურათზე: მაღაზიის ერთ ნაწილში.

რ. გაბრიჭიძის ტექსტი და ფოტო.

რუსთავი.

ტურისტული კლუბი და მშდ კომპლექსი

ტურიზმი მილიონთა სპორტია. ამიტომ მას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მშდ ახალი კომპლექსის ყველა საფეხურში.

მშდ ახალი კომპლექსის შემოღებიდან დიდი დრო არ გასულა, წლეულს ნორმატივების ჩაბარება სრული ძალით უნდა გაჩაღდეს. ამისთვის ჩვენც გულმოდგინედ მოვემზადეთ.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მშდ კომპლექსის ნორმატივები ტურიზმში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ ლაშქრობები ქალაქის ტურისტულ კლუბშია რეგისტრირებული. ეს გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანია, ვინაიდან სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისია მხოლოდ ტურისტულ კლუბთან არსებობს. ტურისტულმა სექციებმა, ფიზკულტურულმა კოლექტივებმა და დაინტერესებულმა ტურისტებმა სწორედ ამ კლუბში უნდა მიიღონ კვალიფიციური კონსულტაციები მარშრუტების, მათი დოკუმენტაციის გაფორმების შესახებ და სხვ.

როგორც წესი, სამარშრუტო ფურცელი ორი-სამი დღით ადრე უნდა გაფორმდეს. ეს საშუალებას იძლევა სათანადოდ მომზადდეს კონტინგენტი, დაზუსტდეს მაშრუტი, შეირჩეს საექსკურსიო ობიექტები, ტურისტული ბლაქურვილობა, დაიგეგმოს საზოგადოებრივად სასარგებლო ღონისძიებანი. დროც რჩება საიმისო, რომ ტურისტულმა კლუბმა ლაშქრობის მომზადების მიმდინარეობა გააკონტროლოს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ზოგიერთი ფიქრობს, თითქოს მასობრივ ტურიზმში, მით უმეტეს დასვენების დღის მარშრუტებზე, საშიში არაფერია და უსაფრთხოების ღონისძიებათა უგულებელყოფა შეიძლება. მათ უნდა მოვაგონოთ სამწუხარო, უბედური შემთხვევა, როცა ამ ორიოდე წლის უკან უყურადღებობამ რთულ მარშრუტზე სპორტის ოსტატობის კანდიდატ ქ. გირგიდოვის ჯგუფში სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ნორმატივების მასობრივი ჩაბარება კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს აყენებს: მასობრივი ტურიზმის ორგანიზაცია შეუძლებელია ტურიზმის ინსტრუქტორების, ორგანიზატორებისა და დასვენების დღის ლაშქრობის ხელმძღვანელთა გარეშე. მათი სიმცირე კი დიდად საგრძნობია.

კარგი საქმე გააკეთა „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურმა საბჭომ, რომელიც ამ დღეებში თბილისის ტურისტულ კლუბთან ერთად ტურიზმის ინსტრუქტორთა და დასვენების დღის ლაშქრობათა ხელმძღვანელების მომზადებას დაიწყებს პროფტექნიკური სასწავლებლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა რიცხვიდან. ამ მხრივ გარკვეული ძვრები „ლოკომოტივშიც" შეიმჩნევა.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა დასახმარებლად შევიმუშავეთ ექვსი მარშრუტი და სტამბური წესით გამოვეცით. მსგავსი მარშრუტების დამუშავება და გამოცემა გრძელდება. ამ გამოცემებში მარშრუტის აღწერილობასთან (რუსულ და ქართულ ენებზე) ერთად სათანადო სქემა და ზოგიერთი სასარგებლო რჩევაცაა მოცემული.

შეიმჩნევა, რომ მშდ ნორმატივების ჩასაბარებლად მხოლოდ ერთდღიან ლაშქრობებს აწყობენ. ეს მაშინ, როცა ნორმატივები ლაშქრობაში მონაწილეობასთან ერთად ღამისთევის ჩვევებისა და ორიენტირების ელემენტების ცოდნასაც მოითხოვს. საკითხავია, სად და როგორ უნდა შეიძინონ ეს ჩვევები, თუ არა საველე პირობებში ღამისთევის დროს?

5-6 მაისს ივრის ნაპირას სოფელ ოთარაანთკარის ახლოს ჩატარდება თბილისელ ტურისტთა ტრადიციული შეკრება-შეჯიბრება, რომელიც ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების დღეს და საზაფხულო ტურისტული სეზონის დაწყებას ეძღვნება. ამჯერად ტურისტულ ესტაფეტასთან ერთად მშდ ნორმატივების ჩასაბარებლად მასობრივი ტურისტული ლაშქრობაც მოეწყობა. მოლაშქრენი სოფელ ნასომხარიდან იალნოს ტყიანი ქედის გავლით ივრის ნაპირას, შეკრება-შეჯიბრების ადგილზე მივლენ. საკონტროლო პუნქტი იალნოს ქედზე მოეწყობა.

მსაჯი-კონტროლიორი სამარშრუტო ფურცელზე აღნიშნავს მონაწილეთა გავლას და მათს რაოდენობას. იქვე ჩატარდება პრესის დღისადმი მიძღვნილი ტურისტული კედლის გაზეთებისა და საველე ფურცლების საქალაქო დათვალიერება-კონკურსი.

ტურისტული ესტაფეტის ტრასა რთული და საინტერესოა. გათვალისწინებულია მდინარის გადალახვა, ბაიდარებით დაშვება, კროსული დისტანცია, კარვის გაშლა, წყლის ადუღება და სხვ. გარდამავალ თასს კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებული გუნდი მიიღებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შეკრება-შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგები ტურისტული სექციების და ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის შეფასების უტყუარი კრიტერიუმი იქნება.

ლაშქრობის საორგანიზაციო კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ფიზკულტურული, ტურისტული ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლები არიან, მუშაობა დიდი ხანია გაშალა. ემზადებიან ფიზკულტურული კოლექტივებიც. მაგალითად, თბილისის სამხატვრო აკადემიის ფიზაღზრდის კათედრა და ტურისტული სექცია რექტორატის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით გეგმავენ შიდასაკოლექტივო ღონისძიებას ანალოგიური პროგრამით.

საქალაქო შეკრება-შეჯიბრებაში ქრმიელი ტურისტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

გაიმარჯვებს კოლექტივი, სადაც ტურიზმის ნამდვილი ენთუზიასტები არიან.

ო. ზოზოხიძე,

თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.

ა. ზაზროევი — თბილისის „დინამოში"

თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მეორე მწვრთნელად დაინიშნა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ზაზროევი.

მეხანძრეთა სპორტული სარბიელი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველომ ახლახან სოხუმში ჩაატარა პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. შეჯიბრებაში უკონკურსოდ ჩაება ყაზახეთის გუნდი. მონაწილეთა შორის იყო 13 სპორტის ოსტატი, მათ შორის, სსრ კავშირის ჩემპიონი და ევროპის ექს-ჩემპიონი, ფოთელი გივი ბუკია.

პირველ დღეს „დინამოს" სტადიონზე სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას აჯობა ბუკიამ. II ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი, სპორტის ოსტატი ტ. კიზირია, III — სპორტის ოსტატი მ. დუმბაძე (აჭარა). სოხუმელებმა მ. ამალიანმა და ა. კოპალიანმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულეს.

საინტერესო იყო კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მეტრზე დაბრკოლებათა გადალახვით და ცეცხლმოდებული სითხის ჩაქრობით. ყველას აჯობეს ქუთაისის წარმომადგენლებმა, რომელთაც ფოთელი მეხანძრეები ჩამოიტოვეს. III ადგილზე გავიდნენ თბილისელები.

მეორე დღეს მოეწყო შეჯიბრება სპეციალური კოშკურის მეოთხე სართულის ფანჯარაში საიერიშო კიბით ასვლაში. აქაც პირველი იყო გ. ბუკია, რომელსაც საამისოდ სულ 16,8 წამი დასჭირდა. II და III ადგილებზე გავიდნენ სპორტის ოსტატი დ. დევნოზაშვილი (თბილისი) და ა. კარუშევი (აჭარა).

საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს რესპუბლიკურ შეჯიბრებათა მრავალგზის ჩემპიონებმა — ფოთის მეხანძრეებმა — 8678 ქულა. II ადგილზეა ქუთაისის კოლექტივი — 5124, III კი აჭარის გუნდი — 4800.

აფხაზეთის სპორტსმენები წარუმატებლად გამოვიდნენ და V ადგილს დასჯერდნენ.

ვ. სემიონოვი.

სოხუმი.

• • •

სურათზე: დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა.

ავტორის ფოტო.

ვეტერანთა პირველი სტარტი

საქართველოს მძლეოსანთა წლევანდელ პირველ შეჯიბრებას — „პრავდის" პრიზზე გამართულ კროსს ხელვაჩაურის რაიონი მასპინძლობდა. საასპარეზოდ თავი მოიყარა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის (2), ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორისა და რვა რაიონის გუნდების 231 სპორტსმენმა.

I ჯგუფში გუნდური გამარჯვება მოიპოვა თბილისის პირველმა კოლექტივმა — 14 საჯარიმო ქულა. II ადგილზეა სამხრეთ ოსეთის ნაკრები (20), III კი აფხაზეთის გუნდი (22). გორისა და ფოთის სპორტსმენები ბოლო ადგილებზე დარჩნენ. გამარჯვებულთან მათ 31-31 ქულა წააგეს.

II ჯგუფში ყველას წალკის რაიონის ნაკრებმა აჯობა — 14 საჯარიმო ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილები ხვდათ ბოგდანოვკისა (19) და ზუგდიდის (21) მძლეოსნებს. თელაველებსაც 21 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ, მაგრამ IV ადგილს დასჯერდნენ. ამ ჯგუფში მოულოდნელი იყო მახარაძის რაიონის სპორტსმენთა წარუმატებლობა — 43,5 საჯარიმო ქულა და ბოლო ადგილი.

წალკელებისა და ბოგდანოვკელების წარმატება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ამ რაიონებში ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდების შერჩევა შეიძლება. შემდეგში საჭიროა ნიჭიერი სპორტსმენების ვარჯიშს მეტი ყურადღება მიექცეს, რათა მათგან რესპუბლიკის ნაკრებისთვის ღირსეული შევსება მივიღოთ.

წალკის რაიონის სოფელ ჯინისის სკოლის VIII კლასის მოსწავლე დ. ანანიკოვამ 1000 მეტრზე შეჯიბრებაში 40 მონაწილეს შორის ბევრი უკვე გამოცდილი, უკეთ ნაწრთობი მძლეოსანი ჩამოიტოვა და III ადგილის მოპოვება შეძლო. მისმა თანაგუნდელმა ფ. აიდინოვამ კი, რომელიც ვეტერან ქალთა შორის ამავე დისტანციაზე რბენაში გამოდიოდა, II ადგილი დაიკავა. 2000 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში წალკელი ე. ზარნაჩიანი ფინიშთან მეოთხე იყო.

ბოგდანოვკელთაგან ყველაზე მეტ წარმატებას სოფელ კალინინის კოლმეურნეობის ფერმალმა ფ. ბლუდოვმა და მისმა სახლიკაცმა ნ. ბლუდოვმა მიაღწიეს. პირველი მხოლოდ იუნიორთა შორის 5000 მეტრზე რბენაში გამარჯვებულ ი. არჯევანიძეს (თბილისი I) ჩამორჩა, მეორემ კი 3000 მეტრზე ასპარეზობაში მეოთხე შედეგი აჩვენა.

ვეტერანთა პირველმა შეჯიბრებამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. 34 წლისა და უფროსი ასაკის ქალები 1000 მეტრზე დარბოდნენ, ხოლო 39 წლისა და მეტი ასაკის კაცები 3000 მეტრზე რბენაში ცდიდნენ ძალას.

კაცებში ყველას წარსულში საქართველოს ერთ-ერთმა ძლიერმა სტაიერმა ი. უმაკოვმა (თბილისი I) აჯობა — 11.29,0. II ადგილზე გავიდა ფოთელი ო. რინასი — 11.55,0. III კი 54 წლის ვ. ოგნევი (აფხაზეთი) — 11.57,0. ოგნევის თანაგუნდელი, 72 წლის ს. კანდელი VIII ადგილზე გავიდა — 15.14,6. ამ ხნის კაცისთვის ეს სახუმარო საქმე როდია.

ბრძოლა სხვა დისტანციებზეც საქართველოს ნაკრების წევრებს ან ყოფილი წევრების გამარჯვებით დამთავრდა. 8000 მეტრზე რბენაში თავიდანვე ვ. ნესტერენკო (რუსთავი) და ე. გათიკოევი (სამხრეთ ოსეთი) დაწინაურდნენ, რომელთაც აფხაზეთის კროსში გამარჯვებული, ტყვარჩელელი სამთო ინჟინერი ა. ოვსიანიკოვი და აჭარის ჩემპიონი ნ. ვიშნიაკოვი ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ. 21 მონაწილიდან გათიკოევისა და ნესტერენკოს კონკურენციას მაინც ვერავინ გაუძლო. პირველობა ნესტერენკოს დარჩა — 23.50,0. ეს საკმაოდ მაღალი შედეგია და კროსში უმაღლესი სათანრიგო ნორმატივის რეგლამენტზე ბევრად უკეთესი, II ადგილზეა გათიკოევი — 24.49,0. III კი ს. მეშანინოვი (თბილისი I) — 26.00,0.

თბილისის პირველმა ნაკრებმა საერთო გუნდური ჩათვლა მოიგო, მაგრამ პირად ტურნირში ჩემპიონობა ამ გუნდის მხოლოდ სამმა სპორტსმენმა მოიპოვა. თბილისელებს ხელი მოეცარათ ვეტერან ქალთა, 2000 მეტრზე მორბენალ ქალთა და 3000 მეტრზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრებებში. ყველაზე ხალხმრავალი (48 მონაწილე) სწორედ 3000 მეტრზე რბენა იყო. თბილისელთაგან საუკეთესომ ი. მედვედმა აქ X ადგილი დაიკავა.

მონაწილეთა უმეტესობის ფიზიკური და ტექნიკური მომზადების დონე დაბალი იყო. ამას ის ადასტურებს, რომ 142 სპორტსმენი მესამე თანრიგის ნორმატივსაც ვერ შესწვდა.

ო. ივლოშვილი.

(ჩვენი სპეც. კორ.)

ხელვაჩაურის რაიონი.

• • •

სხვა პრიზიორთა ტექნიკური შედეგები

17-18 წლის ქალიშვილები. 1000 მ. ტ. მატიცინა — 3.12,2, ნ. სუდაკოვსკაია (ორივე — თბილისი I) — 3.21,0, დ. ანანიკოვა (წალკა) — 3.21,4. **19-20 წლის ქალები. 1500 მ.** ლ. მაკაროვა (ქუთაისი) — 5.00,0, ნ. დავიდენკო (თბილისი I) — 5.14,0, ლ. შეინი (ზუგდიდი) — 5.21,6. **ვეტერანი ქალები. 1000 მ.** ფ. მესხი (აჭარა) — 4.27,0, ფ. აიდინოვა (წალკა) — 4.48,0, მ. ოდიშვილი (მცხეთა) — 5.12,0. **ქალები. 2000 მ.** ჯ. ზანთარია (აფხაზეთი) — 7.18,0, ლ. როგავა (ზუგდიდი) — 7.23,0, ნ. ნერგაძე (ქუთაისი) — 7.24,0.

17-18 წლის ვაჟები. 3000 მ. ს. ხაჩატურიანი (ახალციხე) — 8.56,6, ვ. პოგოძევი — 9.07,0, ვ. კიზირიდი (ორივე — აფხაზეთი) — 9.11,4. **19-20 წლის იუნიორები. 5000 მ.** ი. არჯევანიძე (თბილისი I) — 15.03,0, ფ. ბლუდოვი (ბოგდანოვკა) — 15.26,0, გ. ხარაზიშვილი (თბილისი I) — 15.50,0.

ლელო გაიტანეს

„კოლმეურნის" გულრიფშის რაიონული საბჭოს ინიციატივით მოეწყო სარაიონო პირველობა ლელობურთში. სარბიელზე გამოვიდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გუნდები.

საინტერესო ბრძოლების შემდეგ ჩემპიონობა მოიპოვეს გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი კ. გერია) ლელობურთელებმა.

მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ბაბუშარის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობისა (დირექტორი ო. გვიჩია) და გულრიფშის რუსთველის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ო. დავითაია) გუნდები.

შ. ჯალაღონია.

(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

„დინამო“ 50 წლისაა

დიდი სამამულო ომი

ომის პირველივე დღეებიდან საქართველოს დინამოელებმა მუშაობა ქვეყნის სამხედრო-თავდაცვითი საჭიროების შესაბამისად გარდაქმნეს. აი, რა ეწერა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ერთ-ერთ მაშინდელ წლიურ ანგარიშში: „ყურადღებას არ ვაკლებდით რა მუშაობის სხვა უბნებს, ყოველმხრივ ვავითარებდით სპორტის თავდაცვითს სახეობებს და გამუდმებით ვზრუნავდით თავდაცვითი კადრების მომზადებისთვის“.

ეს მუშაობა შთამბეჭდავ ციფრებში გამოიხატება: მომზადებულია 3902 შაშხანით მსროლელი (გეგმის 300 პროცენტი), 1418 რევოლვერით მსროლელი (197 პროცენტი), 1462 ტყვიამფრქვევით მსროლელი (731), 5459 ხელყუმბარის მტყორცნელი (273), 5505 ხელჩართული ბრძოლის ოსტატი (425), 2191 მოთხილამურე (398), 397 მოცურავე (722). ამას გარდა, გეგმის გადამეტებით მომზადებული იყო 74 ავტომობილისტი, 55 მოტოციკლისტი და 1000 ნიჩბოსანი.

საქართველოს დინამოელებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი პატრიოტული ვალი ომის მძიმე წლებში და ამის დავიწყება არ შეიძლება.

განსაკუთრებით ძნელი იყო ქლუხორისა და მამისონის ზეკარებზე ბრძოლის დრო, როცა საქართველოში გერმანელების შემოჭრის რეალური საფრთხე შეიქმნა. ყველგან ჩამოყალიბდა გამანადგურებელი ბატალიონები. მძიმე ხანა იყო. დინამოელი ვ. ევგრაფოვი იხსენებს: „დიდი სამამულო ომის დასაწყისში შექმნეს ახალი ხელყუმბარა და საკუთარი ძალებით მოაწყვეს ამ ხელყუმბარებისა და ტანკსაწინააღმდეგო ფეთქებადი ბოთლების წარმოება. ეს იარაღი იმდენი დაამზადეს, რომ საკმარისი გახდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული გამანადგურებელი ბატალიონების მოსამარაგებლად. გამანადგურებელი ბატალიონების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა დინამოელთა ორგანიზაციაც, განსაკუთრებით, სროლის სექცია, რომელსაც მაშინ ა. ბაქრაძე ხელმძღვანელობდა“.

მართლაც, საქართველოს დინამოელებმა გააკეთეს ასეთი ხელყუმბარა და საკუთარი ძალებით დაიწყეს მისი წარმოება და გამოცდა. მოკრივე ა. ბაქრაძის გარდა, ამ საქმეს მაშინ დიდი გულისყურით მოეკიდნენ კალათბურთელი ლ. ფალავანდიშვილი, ტანმოვარჯიშე ა. ჯორჯაძე და სხვ.

გამანადგურებელი ბატალიონების მომზადებაში მონაწილეობის შესახებ ლ. ფალავანდიშვილი გვიამბობს: „ყოველდღე ღამის სამ საათამდე გრძელდებოდა ხიშტით ბრძოლის, სროლის, ქალაქის პირობებში ბრძოლის მეთოდებისა და ხერხების სწავლება, იარაღის მატერიალური ნაწილის შესწავლა და ა. შ.“

დინამოელები აქტიურად ეხმარებოდნენ რეგულარულ ჯარებსაც. შეიქმნა „საშეფო“ მუშაობის ახალი ფორმები. სიტყვა „საშეფო“ ძალაუნებურად ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ, ვინაიდან ის, რასაც ომის წლებში „დინამო“ აკეთებდა, ესე იგი, თავდაცვითი მუშაობა ყველა სახეობაში, ამ საზოგადოების პირდაპირი მოვალეობა იყო, ისევე როგორც ქვეყნის სხვა ნებისმიერი სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის. „დინამომ“ მობილიზაცია გაუწია მთელს თავის აპარატს, მთელს აქტივს, რათა ყოველმხრივ დახმარებოდა ჯარებს სამხედრო მომზადებაში.

ბაკურიანის სასწავლო ბაზაზე დინამოელი ინსტრუქტორები ამზადებდნენ მთამსვლელებსა და სამთომოთხილამურეებს ამიერკავკასიის ფრონტისთვის. აქ ჩამოყალიბებულმა სკოლამ, რომელსაც ბ. დიაჩკოვი ხელმძღვანელობდა, მოკლე ხანში გამოუშვა 480 ოფიცერი და 4320 სერჟანტი — სამთო ომის სპეციალისტი, რომლებიც კარგად ფლობდნენ მთამსვლელობის, მეკლდეურობის ტექნიკას, სამთოსათხილამურო ხელოვნებას და მაღალმთიანეთში ბრძოლის ტაქტიკას.

კიდევ უფრო ფართოდ მონაწილეობდნენ დინამოელები თბილისში განლაგებული ჯარის ნაწილების სწავლებაში. ამ მუშაობის უშუალო ხელმძღვანელი ა. წერეთელი გვიამბობს: „1942-43 წლებში „დინამო“ სამხედრო ნაწილებს ამზადებდა სამთოსათხილამურო დარგში. მაშინ თბილისთან „კვევობურის“ სათხილამურო ბაზა იყო. ამ ბაზაზე ბატალიონებად მოდიოდნენ სამწყობრო ქვეგანაყოფები, ბინავდებოდნენ იქ და ერთი ან ორი კვირის მანძილზე სწავლობდნენ თხილამურებით სრიალსა და სამხედრო მოქმედებას მთის პირობებში. მომზადება მიმდინარეობდა კონვეიერულად, მამისონისა და ქლუხორის ზეკარებზე ბრძოლის პირობების გათვალისწინებით. ზაფხულში კი ჯარისკაცებს (განსაკუთრებით, მესანგრეებს) მასობრივად ასწავლიდნენ ცურვას. გარდა ამისა, „დინამოს“ ინსტრუქტორები ოფიცერთა შემადგენლობას ამეცადინებდნენ პისტოლეტით სროლაში, წითელარმიელებს კი ხიშტით ბრძოლაში. მუშაობის მასშტაბი დიდი იყო, მაგრამ არა სპორტული, არამედ სამხედრო-მოსამზადებელი თვალსაზრისით, არა ფიზკულტურელებთან და სპორტსმენებთან, არამედ მთელს ქვეგანაყოფებთან“.

ომის პირობებთან დაკავშირებულ საზოგადოების საშეფო მუშაობას სხვა ასპექტებიც გააჩნდა. კვლავ მოვიყვანოთ ნაწყვეტი „დინამოს“ საქართველოს საბჭოს ერთ-ერთი ანგარიშიდან: „შეფები ჰოსპიტლებს, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებს ეხმარებოდნენ ინვენტარით, საინსტრუქტორო შემადგენლობით, აწყობდნენ სპორტის ოსტატების სპორტულ და საჩვენებელ გამოსვლებს, ატარებდნენ შეჯიბრებებს, უთმობდნენ სპორტულ ბაზებს და ა. შ. საქმიანობა ძირითადად გაშლილი იყო თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და ფოთში. დიდი მუშაობა ჩაატარა „დინამოს“ აჭარის ორგანიზაციამ გემებზე და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებში, რისთვისაც შავი ზღვის ფლოტის ხელმძღვანელობის ქება და მადლობა დაიმსახურა“.

ეს ამაღელვებელი ამბავი ანგარიშის მშრალი ენით გადმოცემულია მეორე ოფიციალურ საბუთშიც: „ჩვენ საკმაო ყურადღებას ვუთმობდით საშეფო მუშაობას საევაკუაციო ჰოსპიტალში... საანგარიშო პერიოდში საშეფო ჰოსპიტლებში მოვაწყვეთ რამდენიმე საჩვენებელი გამოსვლა ტანვარჯიშში, კრივში, ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ჭადრაკში, გავმართეთ შეჯიბრება ფრენბურთში უკვე გამოჯანსაღებულებთან, ტარდებოდა მეცადინეობები ფრენბურთსა და კრივში, გამოვყავით სავარჯიშო ადგილები, გადავეცით დიდძალი სპორტინვენტარი, დაჭრილებისთვის ქალაქ ქუთაისში მოვაწყვეთ სპორტული მოედნები, თბილისსა და ბათუმში ავადმყოფებს კოლექტიურად ვასწრებდით სპორტულ ღონისძიებებზე. მათმა რიცხვმა რვაასს გადააჭარბა. ბათუმში გამოიყო ინსტრუქტორი, რომელიც რეგულარულად, განრიგის მიხედვით ატარებდა ვარჯიშს დაჭრილებთან სამკურნალო ფიზკულტურაში, რაშიც 1500-ზე მეტი კაცი იყო ჩაბმული. თბილისში დაჭრილებთან სისტემატურად ტარდებოდა ჟურნალ-გაზეთებისა და ლიტერატურის კითხვა. ამასთან, დინამოელებმა საშეფო ორგანიზაციებს დიდი დახმარება გაუწიეს სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის მოწყობაში, დასვენების ოთახების, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტებისა და სპორტული დარბაზის მხატვრულ გაფორმებაში.

ყველა ეს ღონისძიება დიდად უწყობდა ხელს უკვე გამოჯანსაღებულთა ფიზკულტურულ მეცადინეობაში ჩაბმას, აჩქარებდა თვით გამოჯანსაღების პროცესს“.

უდიდესი პოლიტიკურ-აგიტაციური მნიშვნელობა ჰქონდა იმ ხანებში საქართველოს დინამოელთა გამოსვლებს, ასე ვთქვათ, ბრძოლის ცხელ კვალზე. ეს ხალხს გამარჯვების ურყევ რწმენას უნერგავდა ისევე, როგორც 1941 წლის სანოემბრო აღლუმი მოსკოვში, შოსტაკოვიჩის სიმფონია ალყაშემორტყმულ ლენინგრადში და საფეხბურთო მატჩები.

სიტყვა მივცეთ ბ. პაიჭაძეს: „სტალინგრადის განთავისუფლებიდან სულ მალე, — წერს იგი, — მივიღეთ მიწვევა სტალინგრადელებთან სათამაშოდ და გავემგზავრეთ კიდეც. მე მუხლი მქონდა ნატკენი, მაგრამ წავედი, რადგან შინ დარჩენა არ შემეძლო... ჩვენი ვაგონი სამხედრო ეშელონს მიუბეს. 15 დღე-ღამეს ვმგზავრობდით ომისგან განადგურებულ გზებზე. კავკასკაიასა და ილოვაისკაიაში გერმანელებმა კარგა მაგრად დაგვბომბეს. სტალინგრადის გარეუბანი გვამებისგან ჯერ არ იყო გაწმენდილი. თვით სტალინგრადში თამაშზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა — ქალაქი მთლიანად ნანგრევებად იყო ქცეული, სადაც მეტად თუ ნაკლებად მხოლოდ „პავლოვის სახლი“ გადარჩენილიყო. თანაც ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ ნაღმებისგან ქუჩების გაწმენდა. ვთამაშობდით სტალინგრადის მახლობლად, თუ არ ვცდები, ლიუბერცში... ვიყავით კიევშიც, მისი განთავისუფლების შემდეგ. დარნიცაში კვლავ დაგვბომბეს. ქალაქში ძლივს გადაგვიყვანეს ხის ხიდით. იქვე ჩამოვიდა ცდკა-ს ფეხბურთელთა გუნდიც და პატარა ტურნირი ჩავატარეთ“.

... „დინამოს“ სამრეწველო ორგანიზაციებიც თავდაცვის სამსახურში ჩააყენეს. ისინი უშვებდნენ სათხილამურო ჯოხებს, შესანიღბ ბადეებს, სხვადასხვაგვარ სასწავლო იარაღს, მტრის ტანკების სასწავლო მაკეტებს და საბრძოლო მომზადების სხვა „ხელსაწყოებს“.

მაგრამ საქართველოს დინამოელები მარტო ზურგში როდი შრომობდნენ, ბევრი მათგანი ფრონტებზე იბრძოდა. საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიანიჭეს იმ დროის დინამოელ სპორტსმენებსა და საქართველოს დინამოელთა ორგანიზაციის აქტივისტებს ა. ლუჟეცკის და ა. პირმისაშვილს.

ვიმეორებთ, ბევრი მათგანი იბრძოდა. უბრალოდ შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა, ვინც გმირულად დაეცა ან ჯილდო მიიღო.

ერთ ჩვენს სახელოვან დინამოელზე კარგადაა მოთხრობილი კრებულში „ჩვენ „დინამოდან“ ვართ“: „1942 წლის დეკემბრის დღეებში ერთ-ერთი გერმანული ალპიური ნაწილი კავკასიონის მთებში სამხედრო ზეკარის აღებას ცდილობდა. ზეკარს იცავდა სამთომოთხილამურეთა ნაწილი, რომლის შემადგენლობაში ნაღმტყორცნელთა ქვეგანაყოფები იყო.

ნაღმტყორცნელთა ერთ-ერთ ჯგუფში იყო სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში, დინამოელი ვ. კუხიანიძე.

ქანცგამწყვეტი ბრძოლა დღისით და ღამით, როცა მიწა ყუმბარებისგან გადახნული იყო, ხოლო მთებიდან ზვავებად წყდებოდა და ქვევით მიგრიანავდა გრანიტის უზარმაზარი ბელტები, მოითხოვდა არა მარტო ვაჟკაცობას, არამედ ნამდვილ შეუპოვრობას, უდიდეს ამტანობას.

კუხიანიძემ და მისმა ამხანაგებმა ზეკარი დაიცვეს. გერმანელები თექვსმეტ დღე-ღამეს განუწყვეტლივ უტევდნენ მამაცებს. ჩვენი ნაღმტყორცნელები მათ ცეცხლით ხვდებოდნენ.

ამ ბრძოლაში საქართველოს ჩემპიონი მძიმედ დაიჭრა...“

ის, რითაც მაშინ საქართველოს დინამოელები სუნთქავდნენ, მგზნებარე და გულმართალი სიტყვებით გამოთქვა ნ. დუმბაძემ. 1942 წლის აგვისტოს მძიმე დღეებში მოსკოვში გამართულ ანტიფაშისტურ მიტინგზე მან თქვა: „წაიღე ჩვენგან, სამშობლოვ, ყველაფერი, რაც საჭიროა მტრის დამარცხებისთვის. საჭიროა ჩვენი ძალა? — წაიღე, საჭიროა ჩვენი სიმარდე? — წაიღე. საჭიროა სიმდიდრე? — წაიღე. საჭიროა ჩვენი სიცოცხლე? — მასაც შევწირავთ სამშობლოს, ხალხს!“

სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. საკვირველი იმ წლების სპორტული წარმატებები იყო. სად ჰქონდათ ამდენი ძალა, სად პოულობდნენ დროს, ენერგიას, ნებისყოფას იმისთვის, რომ არა მარტო ევარჯიშათ, არამედ წინაც წაეწიათ სპორტი? ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს დინამოელთა სპორტული მუშაობა ერთი წუთითაც არ წყდებოდა. მას თავისი ნაყოფი მოჰქონდა ომის ჟამს. კვლავ მოვიყვანოთ დოკუმენტების ძუნწი და ზუსტი სტრიქონები. 1944 წლის წლიურ ანგარიშში ვკითხულობთ: „სპორტულ-საწვრთნელი მუშაობის გაძლიერების შედეგად ჩვენს გუნდებსა და სპორტსმენებს მოწინავე ადგილი უკავიათ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის. საანგარიშო პერიოდში დინამოელებმა მოიგეს 29 რესპუბლიკური პირველობა. გვყავს 13 საზოგადოება „დინამოს“ და 7 სსრ კავშირის ჩემპიონი. ჩვენი ორგანიზაციის სპორტსმენებს დამყარებული აქვთ 1 მსოფლიო, 2 საკავშირო და 13 რესპუბლიკური რეკორდი“.

ამ წლებში მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ ნ. დუმბაძემ ორჯერ (1943 და 1944 წლებში) მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა ბადროს ტყორცნაში. დუმბაძის გარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონები იყვნენ:

მძლეოსნობაში — გ. ათანელოვი (სიმაღლეზე ხტომა) — 1945 წ., ვ. გოკიელი (სიგრძეზე ხტომა) — 1944 წ.;

ძალოსნობაში — მ. კასიანიკი (ქვემსუბუქი წონა) — 1943 და 1944 წ. წ., მ. ჟღენტი (მსუბუქი წონა) — 1943 და 1945 წ. წ.;

კრივში — შ. გორგასლიძე (მსუბუქი წონა) — 1944 წ., ლ. ღუდუშაური (ქვემძიმე წონა) — 1945 წ., ა. ნავასარდოვი (მძიმე წონა) — 1944 წ.;

თავისუფალ ჭიდაობაში — გ. მაჩკალიანი (ქვემძიმე წონა) — 1945 წ., ა. მეკოკიშვილი (მძიმე წონა) — 1945 წ.

ომის წლებში მოპოვებულ სპორტულ გამარჯვებებს, რასაკვირველია, საგანგებო მნიშვნელობა აქვს. იმ გამარჯვებული სპორტსმენებიდან ყველა განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს.

1945 წელი კი იწურებოდა. დგებოდა მშვიდობიანი დრო.

მ. ამნიაშვილი,
ვ. მდივანი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 72, 73, 75.

მეტად საინტერესო ღონისძიება მოეწყო ამას წინათ თბილისის სტუდქალაქში. აქაურმა სპორტის მოყვარულებმა შეხვედრა გაუმართეს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ძველი თაობის წარმომადგენლებს. სტუდენტთა კლუბი გაჭედილი იყო. მასპინძლები ტაშით შეეგებნენ ჩვენს სახელოვან ვეტერანებს ბ. პაიჭაძეს, მ. ბერძენიშვილს, გ. გაგუას, გ. ანთაძეს, ზ. კალოევს, თ. მელაშვილს, ა. პაიჭაძეს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ი. ბოჭორაძეს და სხვ.

დინამოელთა კოლექტივის ისტორიაზე ილაპარაკა ბ. პაიჭაძემ. მსმენელებში დიდი მოწონება ჰპოვა გ. ანთაძის მიერ ჩვეული იუმორით მოთხრობილმა ეპიზოდებმა ფეხბურთელთა ცხოვრებიდან.

შინაარსიანი იყო ა. ხარბედიას მოგონებანი თავისი გუნდის ისტორიიდან.

ჯ. ვაჩიბერიძე.

* * *

სურათზე: დინამოელი ვეტერანები სტუდენტთა შორის.

შ. ზარგარიანის ფოტო.

„ქარგად დაიწყეს, მაგრამ...“

„ლელო“ წერილის კვალდაკვალ

ამ სათაურით „ლელოს“ 24 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, სადაც აღნიშნული იყო წითელი წყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, პურპროდუქტების სარეალიზაციო ბაზისა და „საქსოფლტექნიკის“ წითელი წყაროს რაიონული განყოფილების ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში არსებული ხარვეზები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წითელი წყაროს რაიკომის მდივანმა გ. ლოლაძემ გვაცნობა, რომ ეს საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და დასახა ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუთმეტწლიანი „შესვენების“ შემდეგ

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ (ოლიმპიადის მომდევნო წელს) ჩატარდება მსოფლიო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში.

ტურნირი, რომელსაც ოფიციალური ვიზა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მ. ერცეგანმა (იუგოსლავია) მისცა, საჭიდაო სამყაროსთვის ახალი ხილი როდია. მსოფლიოს თასის პირველი გათამაშება 17 წლის უკან მოეწყო სტამბულში. ეს შეჯიბრება წინ უსწრებდა XVI ოლიმპიურ თამაშებს და მსოფლიოს უძლიერესი ათლეტებისთვის თავისებური რეპეტიცია იყო ოლიმპიური ბატალიების წინ. თასი თურქეთის ძლიერმა გუნდმა მოიგო (44 ქულა). II ადგილზე საბჭოთა მოჭიდავეები გავიდნენ (31,5), ხოლო III — ბულგარელები (25,5). თურქეთის მოჭიდავეებმა პირად ჩათვლაშიც იმარჯვეს და რვა წონიდან ექვსში I ადგილებზე გავიდნენ. მსოფლიოს თასის გათამაშების პირველი ლაურეატები გახდნენ: ჰ. აკბასი, მ. დაღისტანლი (ორივე — თურქეთი), ს. სასახარა (იაპონია), ა. ბესთაევი (სსრ კავშირი), ი. ზენგინი, ი. ათლი, ა. ათანი და ჰ. ქაფლანი (ყველა — თურქეთი).

ორი წლის შემდეგ თასი მეორედ გათამაშდა. ამჯერად მსოფლიოს უძლიერესი ფალავნები სოფიაში შეიკრიბნენ. გამარჯვება ამ ტურნირში სსრ კავშირის ნაკრებს დარჩა (38 ქულა). მომდევნო საპრიზო ადგილებზე თურქეთისა (35) და ბულგარეთის (30) გუნდები გავიდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. საიადოვმა (სსრ კავშირი), ჰ. აკბასმა (თურქეთი), ნ. მუშეღიანმა, ვ. სინიავსკიმ (ორივე — სსრ კავშირი), ი. ოგანმა, ჰ. გიუნგორმა (ორივე — თურქეთი), ა. ალბულმა (სსრ კავშირი) და ლ. ახმედოვმა (ბულგარეთი).

მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობა აქვთ მიღებული ქართველ ფალავნებსაც, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ამაღლდა I ადგილამდე (გამონაკლისია მხოლოდ გ. კარტოზია, რომელმაც 1956 წელს „კლასიკოსთა“ ტურნირი მოიგო). ქართველ მოჭიდავეთაგან საპრიზო ადგილებზე იყვნენ: მ. ცალქალამანიძე (II ადგილი, 1956 წ.), ა. მეკოკიშვილი (II ადგილი, 1956 წ.), გ. სხირტლაძე (II ადგილი, 1958 წ.) და ო. კანდელაკი (II ადგილი, 1958 წ.).

მერე მსოფლიო თასის გათამაშება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით გაუქმდა და მხოლოდ 15 წლის „შესვენების“ შემდეგ განახლდა. ოღონდ ახალი ტურნირის ფორმულა საფუძვლიანად გადაკეთებულია. ამიერიდან ერთმანეთს შეეჯიბრებიან ნაკრები გუნდები სამატჩო შეხვედრების სისტემით. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიადების საუკეთესონი (ამ შემთხვევაში ის კოლექტივები, რომლებმაც მიუნჰენში იმარჯვეს, კერძოდ, სსრ კავშირის, ბულგარეთის, იაპონიის, აშშ-სა და ირანის გუნდები).

მსოფლიო თასის წლევანდელი გათამაშება მოეწყობა 19-20 მაისს ტოლიდოს (აშშ, ოჰაიოს შტატი) უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში.

ახალგაზრდებმა არ დაინდეს

ტაშკენტი, 16 აპრილი. ახალ სეზონში საბჭოთა ჩოგბურთელების პირველმა შეჯიბრებამ უზბეკეთის დედაქალაქის ღია კორტებზე დიდი ინტერესი გამოიწვია.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ა. ვოლკოვს (ცსკა) ამავე რანგის თბილისელი ჩოგბურთელის თ. კაკულიას დამარცხების შემდეგ თავი ქუდში ეგონა, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში თანაკლუბელ შ. ტარპიშჩევთან მოუხდა ფარ-ხმალის დაყრა — 5:7, 3:6, 1:6.

ქალთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კიეველი მ. კროშინა და მოსკოველი ე. გრანატუროვა. გაიმარჯვა კროშინამ — 6:4, 6:2.

ვაჟთა წყვილების ფინალში ტარპიშჩევსა და ვოლკოვს სძლიეს ახალგაზრდა მოსკოველებმა ბ. ბოგომოლოვმა და ვ. პოზდნიაკოვმა — 6:4, 6:3.

ქალთა წყვილებში ყველას აჯობეს კროშინამ და ბაქოელმა ე. ბირიუკოვამ. ამ დუეტმა ა. ერემეევას (ლენინგრადი) და ტ. ლაგოისკაიას (მოსკოვი) სძლია — 3:6, 6:4, 7:5.

რეკორდები

ლვოვი, 17 აპრილი. მსროლელთა საკავშირო შეჯიბრების სტარტზე დოსააფის გუნდის წევრმა, ბელგოროდელმა გ. ქარიკოვამ პნევმატური პისტოლეტით 10 მეტრზე 40 გასროლით 387 ქულა დააგროვა, რაც ქულით აღემატება კრასნოიარსკელი გ. დმიტრიევას საკავშირო რეკორდს და 3 ქულით — მიმდინარე შეჯიბრების მონაწილის, ერევნელი ზ. სიმონიანის მსოფლიო რეკორდს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, მატჩები, ციფრები

ინგლისი

„ლივერპულმა“ შინ მოუგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ — 1:0.

ლონდონში ადგილობრივი გუნდების — „არსენალისა“ და „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად ფრედ (2:2) ითამაშა „სტოკ-სიტისთან“ და ბოლოდან VI ადგილზეა.

ლონდონში ადგილობრივმა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ ფრედ ითამაშა „ლიდს იუნაიტედთან“ — 1:1.

ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ლივერპული“	38	67:39	55
„არსენალი“	38	52:34	53
„ლიდს იუნაიტედი“	36	59:36	49

შოტლანდია

„გლაზგო რეინჯერსმა“ შინ მოუგო „დანდი იუნაიტედს“ — 2:1.

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — გლაზგოს „სელტიკმა“, რომელიც წლეულსაც არ აპირებს ამ საპატიო ტიტულების დათმობას, სტუმრად მოუგო „სენტ-ჯონსტონს“ — 3:1.

„ჰიბერნიენმა“ წააგო „მადერუელთან“ — 0:1.

„გლაზგო რეინჯერსი“	32	70:28	53
„სელტიკი“	30	80:28	49
„ჰიბერნიენი“ (ედინ.)	30	72:28	43

გფრ

მიუნჰენის „ბაიერნმა“ თავის მინდორზე მოუგო „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ — 1:0.

I ლიგის დებიუტანტმა „ვუპერტალერ შპორტფერაინმა“ შინ ანგარიშით 4:1 აჯობა თასის მფლობელს — გელზენკირხენის გუნდს „შალკე 04“, რომელიც ბოლოდან II (XVII) ადგილზეა.

„ბაიერნი“	28	75:26	44
„ვუპერტალერ შფ“	27	51:31	36
„კიოლნი“	28	55:39	35

ესპანეთი

გათამაშების ლიდერმა — ბარსელონის „ესპანიოლმა“ შინ მოუგო „ოვიედოს“ — 3:0.

I ლიგის დებიუტანტმა „კასტელიონმა“ შინ სძლია „ბარსელონას“ — 4:0. თასის მფლობელმა — მადრიდის „ატლეტიკომ“ ხიხონში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „რეალთან“ — 2:2.

ჩემპიონმა — მადრიდის „რეალმა“ შინ ქულა დაკარგა სევილიის „ბეტისთან“ (1:1) და 37 ქულით IV ადგილზე დარჩა.

„ესპანიოლი“	28	42:22	38
„ბარსელონა“	28	32:17	38
„ატლეტიკო“	28	36:23	37

ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ შინ მოუგო ენსხედეს „ტვენტეს“ — 1:0. გოლი გაიტანა ჰაანმა.

როტერდამში ადგილობრივმა გუნდებმა „სპარტამ“ და „ფეიენოორდმა“ ფრედ ითამაშეს — 3:3.

„აიაქსი“	28	87:14	50
„ფეიენოორდი“	27	70:22	45
„სპარტა“	28	72:30	39

უნგრეთი

ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ შინ მოუგო „ედიეტერტეშს“ — 3:1.

„დოჟა უიპეშტი“	20	55:12	33
„ფერენცვაროში“	21	45:26	29
„ვაშაში“	20	36:21	28

რუმინეთი

ბუქარესტში ადგილობრივმა „სტიაუამ“ და „რაპიდმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0.

„სტიაუა“	19	29:14	24
„დინამო“ (ბუქარ.)	19	31:21	24
„უნივერსიტატეა“ (კრ.)	19	31:24	23

ბულგარეთი

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ“ მოუგო სოფიის „აკადემიკს“ — 3:2. პლოვდივის „ლოკომოტივმა“ და ბურგასის „ჩერნომორეცმა“ ფრედ ითამაშეს — 3:3.

ცსკა-„სეპტ. ზნ.“	24	55:27	36
„ლოკომოტივი“	24	43:25	30
„ლევსკი სპარტაკი“	24	46:22	29

იუგოსლავია

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ სტუმრად აჯობა ჩელიკის „ზენიჩარს“ — 2:0.

„ცრვენა ზვეზდა“	23	46:15	35
„ველეჟი“ (მოსტარი)	23	36:16	33
„ოფკ-ბელგრადი“	23	32:19	30

● ●

კუბილასის გეგმები

გამოჩენილი პერუელი თავდამსხმელი კუბილასი, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში, აპირებს დატოვოს სამშობლო და ევროპაში გადაბარგდეს. ამჟამად იგი მოლაპარაკებას აწარმოებს შვეიცარიის პირველი ლიგის კლუბ „ბაზელთან“.

ვინიცის სპორტკლუბ „სპარტაკის“ ნიჩბოსნები თითქმის მთელი წლის მანძილზე ვარჯიშობენ იუჟნი ბუგზე. ახლა ისინი რესპუბლიკური შეჯიბრებისთვის ემზადებიან.

• • •

სურათზე: საწვრთნელ მეცადინეობაზე.

ე. კოპიტის ფოტო (საქდესი).

ამას წინათ ტულაში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. ქვეყნის ჩემპიონობა მეთერთმეტედ მოიპოვა მოსკოვის „დინამომ“.

სურათზე: მოსკოვის „დინამოს“ გუნდი. მარცხნიდან — პირველი რიგი — ი. ეფრემოვა, ლ. ანდრონოვა, ზ. იუსოვა, ლ. ბერგენი, ლ. შჩეტინინა, ლ. ბულდაკოვა; მეორე რიგი — ლ. ოსიპოვა, ტ. ტრეტიაკოვა, ტ. ტალინა, რ. სალიკოვა, ნ. სმოგივა, უფროსი მწვრთნელი გ. ახვლედიანი, მწვრთნელი ლ. სტრელნიკოვა.

პ. მასლოვის ფოტო (საქდესი).

როცა [illegible] იყო... $19^{\underline{45}}$

◆ მალმბერგეტი, 18 აპრილი. ჩრდილოეთ შვეციაში მდებარე ამ ქალაქში ევროპის ბევრმა მოთხილამურემ მოიყარა თავი. 18 კილომეტრზე რბოლა შვედმა თ. მაგნუსონმა მოიგო — 1:09.03. IV ადგილზეა სიქტივკარელი გ. როჩევი (1:10.01), VI — ხაბაროვსკელი ს. საველიევი (1:11.15), VIII — მოსკოველი ფ. სიმაშოვი (1:12.15). 6 კილომეტრზე რბოლაში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ნ. ბალდიჩევამ — 25.57. II ადგილზეა ა. ბარტოშოვა (ჩეხოსლოვაკია) — 26.13. იოშკაროლელი ნ. სელიუნინა მეოთხე იყო — 26.32.

◆ ბოსტონი, 18 აპრილი. 23 წლის ჯ. ანდერსონი ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველი ამერიკელი მძლეოსანი აღმოჩნდა, ვინც ბოსტონის ტრადიციული საერთაშორისო მარათონი მოიგო. ცხელ, წვიმიან ამინდში მან 42 კმ და 195 მ 2 საათში, 16 წუთსა და 3 წამში გაირბინა. ეს 5 წუთზე ცოტა მეტით ჩამოუვარდება ამ მარათონის რეკორდს, რომელიც 1970 წელს დაამყარა ინგლისელმა რ. ჰილმა. წლევანდელ, 77-ე მარათონში 1384 მორბენალმა, მათ შორის, 55 ქალმა აიღო სტარტი. მონაწილეთა შორის უხუცესი იყო 65 წლის ამერიკელი ჯონ კელი, რომელმაც აქ ორმოცდამეორედ იასპარეზა, ერთხელ კი — 1945 წელს — გაიმარჯვა კიდეც.

რედაქტორი მ. ჰაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 11380